

ფინანსური ანგარიშგება 2021 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის

ფინანსური ანგარიშგება

შპს "ტარიელი"-ს (ს/კ: 245442454)

საანგარიშგებო პერიოდი: 01.01.2021 წ.-31.12.2021 წ.


ანგარიშის შედგენის თარიღი: 29 სექტემბერი 2022 წ.

ზოგადი ინფორმაცია


შპს „ტარიელი“ (შემდგომში «კომპანია») დაფუძნებულია და მდებარეობს საქართველოში. იგი წარმოადგენს შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებას და დაარსებულია საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. კომპანიის რეგისტრირებული ოფისი მდებარეობს ქ. ბათუმში, ინსარიძის #14ა-ში. კომპანიის ძირითად საქმიანობას წარმოადგენს: საბითუმო/საცალო ვაჭრობა პურით, ნამცხვრებით, ფქვილოვანი და შაქრიანი საკონდიტრო ნაწარმით, საბითუმო/საცალო ვაჭრობა არასპეციალიზებული მაღაზიებში, უპირატესად საკვები პროდუქტებით, სასმელებითა და ნაწარმით, არა ხანგრძლივი შენახვის საკონდიტრო ნაწარმის წარმოება (ცომეული საკონდიტრო ნაწარმი, ტკბილღვებულები, ტორტები, ბისკვიტები, ხილიანი ღვებულები, ბლინები, ვაფლი, ბლიტები), პურის წარმოება, საცხოვრებელი შენობების მშენებლობა, ვალუტის გადამცვლელი პუნქტების საქმიანობა.

კომპანიას არ გააჩნია შვილობილი კომპანიები. კომპანია დაფუძნდა 2004 წლის 17 თებერვალს და 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიის 100%-იანი წილის მფლობელია ტარიელ ავჯიშვილი, საქართველოს მოქალაქე, რომელიც აგრეთვე არის კომპანიის მოქმედი დირექტორი.

შპს „ტარიელი“-ს მიერ წარმოდგენილი 2021 სამეურნეო წლის ფინანსური ანგარიშგება (შემდგომში - „ანგარიშგება“) მომზადებულია ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (შემდგომში - „ფასს-ები“), შესაბამისად, ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტებისა (შემდგომში - „ბასს-ები“) და მათი ინტერპრეტაციების ჩათვლით, ყველა არსებით ასპექტში. ანგარიშგებაში აღწერილია საანგარიშგებო პერიოდში – 2021 წლის 1 იანვრიდან 31 დეკემბრის ჩათვლით – საზოგადოებაში მომხდარი ყველა სამეურნეო ოპერაციისა და მოვლენის ფინანსური შედეგები, რომლებიც დაჯგუფებულია მათი ეკონომიკური მახასიათებლების მიხედვით. შენიშვნებში მოცემულია განმარტებები ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში, სრული შემოსავლის ანგარიშგებაში, ფულადი ნაკადების ანგარიშგებასა და კაპიტალის მოძრაობის ანგარიშგებაში ასახულ თანხებთან დაკავშირებით დამატებითი ინფორმაცია. აქ თავმოყრილია ინფორმაცია, რომელიც მოითხოვება ფასს-ებით, აგრეთვე ის ინფორმაცია, რომელიც აუცილებელია საწარმოს შესახებ ინფორმაციის სამართლიანი წარდგენისთვის ნორმატიული აქტებით დადგენილი წესების მიხედვით.



ფინანსური ანგარიშგება 2021 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის
შპს "ტარიელი"-ს დირექტორი



ფინანსური ანგარიშის შინაარსი

1. ფინანსური მდგომარეობა /ბალანსი/.....
2. საქმიანობის შედეგები /მოგებისა და ზარალის ანგარიშგება/.....
3. ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება.....
4. ფინანსურ ანგარიშგებაში გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკა და განმარტებითი შენიშვნები

შპს "ტარიელი"-ს დირექტორი





ფორმა N1- ფინანსური მდგომარეობა /ბალანსი/

ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	148992	135683	171499
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	312447	221135	196951
სხვა პირებზე ავანსებად და სესხებად გაცემული ფულადი სახსრები	81433	207659	425916
მარაგები	5971739	5575783	5788892
მზა პროდუქცია	0	0	0
სხვა	5971739	5575783	5788892
საინვესტიციო ქონება	0	0	0
სხვა მოკლევადიანი აქტივები	0	1883	1564
ბიოლოგიური აქტივები	0	0	0
თვითღირებულების მოდელით	0	0	0
გადაფასების მოდელით	0	0	0
გუდვილი	0	0	0
სხვა არამატერიალური აქტივები	11469	13492	18675
ძირითადი საშუალებები	2910492	2502449	2619694
ინვესტიციები შვილობილ კომპანიებში	0	0	0
ინვესტიციები სხვა საწარმოთა წილობრივ ინსტრუმენტებში	0	0	0
სხვა გრძელვადიანი აქტივები	0	0	0
სულ აქტივები	9436572	8658084	9223191
ვალდებულებები			
საიჯარო ვალდებულება	0	0	0
სავაჭრო ვალდებულებები	3114170	2416448	3090655
ანარიცხები	0	0	0
ვალდებულებები თანამშრომელთა მიმართ	0	0	0
საგადასახადო ვალდებულებები	9230	18685	0
გამოუმუშავებელი შემოსავალი	0	0	0
მოკლევადიანი ნასესხები სახსრები	0	0	0
გრძელვადიანი ნასესხები სახსრები	129435	1049714	1355621
მიღებული გრანტები	0	0	0
სხვა ვალდებულებები	1697054	1249131	527306
სულ ვალდებულებები	4949889	4733978	4973582
საკუთარი კაპიტალი			
სააქციო კაპიტალი (შპს-ს შემთხვევაში 'კაპიტალი', კოოპერატივის შემთხვევაში 'საპაიო კაპიტალი')	2000	2000	57000
საემისიო შემოსავალი	0	0	0

ფინანსური ანგარიშგება 2021 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის

გამოსყიდული საკუთარი აქციები	0	0	0
გაუნაწილებელი მოგება / (დაგროვილი ზარალი)	4484683	3922106	4192609
გადაფასების რეზერვი	0	0	0
საკუთარი კაპიტალის სხვა კომპონენტები	0	0	0
სულ საკუთარი კაპიტალი	4486683	3924106	4249609
სულ საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები	9436572	8658084	9223191
სულ მოკლევადიანი აქტივები	6465683	6147643	6584822
სულ მოკლევადიანი ვალდებულებები	4811224	2435133	3090655

დირექტორი


ფორმა N2- საქმიანობის შედეგები / მოგება-ზარალის ანგარიშგება /

საქმიანობის შედეგები	31/12/2021	31/12/2020
ნეტო ამონაგები	20158714	16513573
საქონლის გაყიდვიდან	19742938	16131813
მომსახურების გაწევიდან	411539	381760
სამშენებლო ხელშეკრულებებიდან	0	0
სხვა	4237	0
გაყიდვების თვითღირებულება	-15519259	-12309151
საწყისი მარაგები	0	0
მარაგების შესყიდვა	0	0
გადამუშავების დანახარჯები	0	0
საბოლოო მარაგები	0	0
საერთო მოგება	4639455	4204422
სხვა საოპერაციო შემოსავალი	0	0
დასაქმებულთა ანაზღაურება	-1507989	-1379165
ცვეთა / ამორტიზაციის ხარჯი	-160555	-195352
საპროცენტო შემოსავალი	0	0
საპროცენტო ხარჯი	-62677	-131938
იჯარის ხარჯი	-239083	-212939
ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯი	-1001233	-724895
სულ საოპერაციო ხარჯები	-2971537	-2644289
საოპერაციო მოგება	1667918	1560133
გაუფასურების (ხარჯი) / აღდგენა:		
ფინანსური აქტივების გაუფასურების (ხარჯი) / აღდგენა	0	0
მარაგების გაუფასურების (ხარჯი) / აღდგენა	0	0
სხვა არაფინანსური აქტივების გაუფასურების (ხარჯი) / აღდგენა	0	0
წმინდა შემოსულობა / (დანაკარგი) უცხოური ვალუტით ვაჭრობიდან	-786	1281

ფინანსური ანგარიშგება 2021 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის

და სავალუტო სახსრების გადაფასებიდან		
მიღებული დივიდენდები	0	0
სხვა არასაოპერაციო შემოსავალი / (ხარჯი)	58732	18416
მოგება / (ზარალი) მოგების გადასახადის ხარჯამდე განგრძობითი ოპერაციებიდან	1725864	1579830
მოგების გადასახადის ხარჯი	-208754	-121836
საანგარიშგებო პერიოდის მოგება / ზარალი	1517110	1457994
სხვა სრული შემოსავალი / (ზარალი):		
ძირითადი საშუალებების (მათ შორის, ბიოლოგიური აქტივების) გადაფასების რეზერვი	0	0
სხვა (მათ შორის წილი ერთობლივი და მეკავშირე საწარმოების უძრავი ქონების გადაფასების რეზერვი და დადგენილ გადასახდელიანი პროგრამები)	0	0
სხვა სრული შემოსავალი / (ზარალი), სულ:	0	0
მთლიანი სრული შემოსავალი / (ზარალი)	1517110	1457994
საკუთარი კაპიტალი საანგარიშგებო პერიოდის დასაწყისში	3924106	4249609
ახალი აქციების გამოშვება (შპს-ს შემთხვევაში 'კაპიტალის გაზრდა', კოოპერატივის შემთხვევაში 'საპაიო კაპიტალის გაზრდა')	0	0
განაწილება მესაკუთრეებზე (მათ შორის დივიდენდი)	-822742	-690405
სხვა ცვლილებები გაუნაწილებელ მოგებაში	-131791	-1038092
კაპიტალის სხვა ცვლილებები	0	-55000
საკუთარი კაპიტალი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს	4486683	3924106


დირექტორი



ფორმა N3 - ფულადი სახსრების მოძრაობა

ფულადი სახსრების მოძრაობა	31/12/2021	31/12/2020
საოპერაციო საქმიანობიდან წარმოქმნილი (საოპერაციო საქმიანობაში გამოყენებული) წმინდა ფულადი ნაკადები	948594	398860
საინვესტიციო საქმიანობიდან წარმოქმნილი (საინვესტიციო საქმიანობაში გამოყენებული) წმინდა ფულადი ნაკადები	0	0
საფინანსო საქმიანობიდან წარმოქმნილი (საფინანსო საქმიანობაში გამოყენებული) წმინდა ფულადი ნაკადები	-934499	-437845
ფულადი სახსრების შემოსვლა (გასვლა)	14095	-38985
ვალუტის კურსის ცვლილების გავლენა ფულად სახსრებსა და მათ ეკვივალენტებზე	-786	3169
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები საანგარიშგებო პერიოდის დასაწყისში	135683	171499
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს	148992	135683

დირექტორი



ფინანსურ ანგარიშგებაში გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკა და განმარტებითი შენიშვნები

ფინანსური ანგარიშგება 2021 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის

1. ბიზნეს გარემო

კომპანიის საქმიანობა ხორციელდება საქართველოში, შესაბამისად მასზე ზემოქმედებს საქართველოში მოქმედი ეკონომიკური ფაქტორები და ფინანსური ბაზრები, რომლებიც განვითარებადი ბაზრის თვისებებით ხასიათდება. საკანონმდებლო, საგადასახადო და მარეგულირებელი ნორმები განაგრძობენ განვითარებას, თუმცა ისინი იყენებენ განსხვავებულ ინტერპრეტაციებს და განიცდიან ხშირ ცვლილებებს, რაც სხვა საკანონმდებლო სირთულეებთან ერთად, საქართველოში მოქმედი ორგანიზაციებისთვის გარკვეულ გამოწვევებს წარმოადგენს. წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება ასახავს ხელმძღვანელობის მიერ საქართველოს ბიზნეს გარემოს გავლენის შეფასებას კომპანიის ოპერაციებსა და ფინანსურ მდგომარეობაზე. მომავალი ბიზნეს გარემო შეიძლება განსხვავდებოდეს ხელმძღვანელობის შეფასებებისაგან.

2. მომზადების საფუძვლები

წინამდებარე ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჯის მიერ გამოცემული, მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად და მოიცავს 2021 კალენდარულ წელს 1 იანვრიდან 31 დეკემბრის ჩათვლით.


ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპის დაშვებით - ანუ დაშვებით, რომ კომპანია განაგრძობს ფუნქციონირებას პროგნოზირებად მომავალში. კომპანიის მენეჯმენტსა და მფლობელებს სურვილი აქვთ, განაგრძონ მისი საქმიანობა. მენეჯმენტს სჯერა, რომ ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვება შესაფერისია კომპანიისთვის.

3. სამუშაო და ანგარიშგების ვალუტა

კომპანიის საოპერაციო და საანგარიშგებო ვალუტას წარმოადგენს ეროვნული ვალუტა - ლარი. უცხოური ვალუტა აღიარებულია ტრანზაქციის თარიღით არსებული საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი გაცვლითი კურსით. ანგარიშგების ყოველი პერიოდის ბოლოს უცხოურ ვალუტაში დენომინირებული ფულადი სახსრები გადაყვანილია მოცემულ თარიღში არსებული საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი კურსით. ფულადი სახსრების სხვაობები აღიარებულია ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში, იმ პერიოდში რომელშიც ისინი წარმოიშვა.

ვალუტა	სავალუტო გაცვლითი კურსი	
	2021 წლის ბოლოს	2020 წლის ბოლოს
1 აშშ დოლარი /USD/	3.0976	3.2766
1 ევრო /EUR/	3.5040	4.0233
100 რუსული რუბლი /RUB/	4.1479	4.4031

4. მოგების გადასახადი



ფინანსური ანგარიშგება 2021 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის

მოგების გადასახადი მოქმედი საგადასახადო კანონმდებლობის შესაბამისად, კომპანია მოგების გადასახადით იბეგრება ე.წ. „ესტონური მოდელით“. დაბეგვის ობიექტია განაწილებული მოგება, ხარჯები და განაცემები, რომლებიც საგადასახადო მიზნისათვის არ მიეკუთვნება ეკონომიკურ საქმიანობასთან დაკავშირებულ ხარჯებს ან განაცემებს.

5. ძირითადი საშუალებები და არამატერიალური აქტივები

ძირითადი საშუალებები აღრიცხულია ისტორიული ღირებულებით - თვითღირებულებით. თვითღირებულების კომპონენტი მოიცავს შეძენის ფასსა და უშუალოდ დაკავშირებულ დანახარჯებს, რომელიც აუცილებელია აქტივის სამუშაო მდგომარეობაში მოსაყვანად. ბალანსში აღრიცხება მისი თვითღირებულებიდან დაგროვილი ცვეთის გამოკლების შედეგად მიღებული თანხით.

არამატერიალური აქტივები წარმოადგენს ცალკე შეძენილ ლიცენზიებს (მათ შორის შეძენილი კომპიუტერული პროგრამული უზრუნველყოფა) და სხვა არამატერიალურ აქტივებს. არამატერიალური აქტივის ამორტიზირება ხდება შემცირებადი ნაშთის მეთოდით შესაბამისი ცვეთის გამოკლების შედეგად მიღებული თანხით.

6. ამონაგების აღიარება

კომპანიის ძირითადი საქმიანობა არის საბითუმო/საცალო ვაჭრობა პურით, ნამცხვრებით, ფქვილოვანი და შაქრიანი საკონდიტრო ნაწარმით, საბითუმო/საცალო ვაჭრობა არასპეციალიზებულ მაღაზიებში, უპირატესად საკვები პროდუქტებით, სასმელებით ან თამბაქოს ნაწარმით, არახანგრძლივი ვადების საკონდიტრო ნაწარმის წარმოება (ცომეული საკონდიტრო ნაწარმი, ტკბილღვეზელები, ტორტები, ბისკვიტები, ხილიანი ღვეზელები, ბლინები, ვაფლი, ბლითები), პურის წარმოება, საცხოვრებელი შენობების მშენებლობა, ვალუტის გადამცვლელი პუნქტების საქმიანობა, ამონაგების აღიარება ხდება დარიცხვის მეთოდის მიხედვით, კერძოდ მომსახურების რეალიზაციის საფუძველზე, ამონაგების ფორმირება ხდება მომსახურების გაუქმების მიხედვით ყოველი დასრულებული თვის მონაცემებზე დაყრდნობით.

შემოსავლის ცხრილი

ლარი	2021	2020
შემოსავალი მომსახურების განწევდან	411539	387932

7. ხარჯების აღიარება

ხარჯები აღიარდება იმ პერიოდში რომელშიც მოხდა მათი გაწევა ანუ დარიცხვის მეთოდით. ხარჯები აღიარდება და ფინანსურ ანგარიშგებაში აისახება ეკონომიკური შინაარსის მიხედვით.



ფინანსური ანგარიშგება 2021 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის

ხარჯების ცხრილი

საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები

#	დასახელება	2021 წელი	2020 წელი
1	მინოდების სხვა ხარჯები	275.00	100
2	რეკლამის ხარჯები	16,821.01	9075
3	ტრანსპორტის ექსპლუატაციისა და შენახვის ხარჯები	10,143.51	14115
4	საავტორო ჰონორარი ხარჯები	710.97	
5	საპენსიო ხარჯი	29,906.07	26624
6	დაცვის ხარჯები	6,823.68	7537
7	საქონლის ტრანსპორტირება	3,070.60	1750
8	საბუღალტრო პროგრამა „აპექსი“-ს მომსახურების ხარჯები	6,000.00	6000
9	საკონსულტაციო ხარჯები	70,570.25	59148
10	საკონტროლო სალარო აპარატების ტექნიკური მომსახურება	1,538.10	1576
11	საჯარო რეესტრის მომსახურების ხარჯი	80.54	317
12	სატელეფონო მომსახურება	2,157.79	2395
13	ინტერნეტ მომსახურება	5,288.10	6070
14	ფოსტის ხარჯები	297.41	20
15	საწვავის ხარჯი	22,297.20	16757
16	ბუნებრივი აირის ხარჯი	13,649.61	12049
17	სადაზღვევო ხარჯი	36,842.26	
18	ფასმარეგულაციის, სასწორისა და სალარო აპარატის ქაღალდის ხარჯები	5,732.24	12225
19	შესაფუთი მასალების ხარჯი	23,481.25	101752
20	სასწორის შეკეთება	978.81	
21	რემონტის ხარჯი მიქელაძის 9	3,694.27	
22	დ/ს რემონტის ხარჯი	1,218.11	3074
23	კომპიუტერის ხარჯები	3,538.12	
24	სხვა საგადასახადო ხარჯი	920.00	
25	საგადასახადო ხარჯი	27,154.00	25861
26	საბანკო მომსახურება	148,442.85	126662
27	წყლის ხარჯი	16,097.43	14346
28	დასუფთავების ხარჯი	8,551.38	8857
29	ელ. ენერგიის ხარჯი	293,940.04	191717
30	სასტუმროს მომსახურების ხარჯი	474.58	
31	წარმომადგენლობითი ხარჯები	1,275.00	1295
32	საკანცელარიო ხარჯი	3,216.64	3574
33	სხვა ხარჯი	5,755.48	300
34	სამეურნეო ხარჯები	230,290.47	70469

8. საგადასახადო ვალდებულება

საგადასახადო ვალდებულება აღირიცხება იმ თანხით რომლის გადახდაც კომპანიას მოუწევს. მოგების გადასახადის გადახდა ხდება დივიდენდის გაცემის შემთხვევაში და ასევე კოდექსით განსაზღვრულ მოგების გადასახადით დასაბეგრ ოპერაციებზე.

9. სასაქონლო-მატერიალური მარაგები

სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების აღიარება ხდება თვითღირებულების მეთოდით. სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების თვითღირებულება ეფუძნება საშუალო შენონილი ღირებულების პრინციპს.

კომპანიის მარაგები მოიცავს იმ მარაგებს, რაც საჭიროა კომპანიის მუშაობისთვის.

დასახელება	2021	2020
საქონელი	5971739	5575783
<u>სულ სასაქონლო-მატერიალური მარაგები</u>	<u>5971739</u>	<u>5575783</u>

10. სავაჭრო მოთხოვნები

რეალიზაცია ძირითადად ხორციელდება ჩვეულებრივი საკრედიტო პირობების საფუძველზე და დებიტორულ დავალიანებას პროცენტი არ ერიცხება. ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს ხდება სავაჭრო და სხვა მოთხოვნების საბალანსო ღირებულებების გაანალიზება იმის დასადგენად, ხომ არ არსებობს რაიმე ობიექტური მტკიცებულება, რომ ეს თანხები არ ექვემდებარება ამოღებას. ამგვარი მტკიცებულებების არსებობის შემთხვევაში, გაუთასურების ზარალი დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

კომპანიის მოთხოვნები ფორმირებულია ძირითადი საქმიანობიდან -

დასახელება	2021	2020
მოთხოვნები მიწოდებიდან და მომსახურებიდან	312447	221135
<u>სულ სავაჭრო მოთხოვნები</u>	<u>312447</u>	<u>221135</u>

11. სავაჭრო ვალდებულება

აღნიშნული თანხები წარმოადგენს ჩვეულებრივი საკრედიტო პირობების საფუძველზე აღებული ვალდებულებებს და პროცენტებს არ ითვალისწინებს. საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს უცხოურ ვალუტაში გამოსახული სავაჭრო ვალდებულებები გადაანგარიშდება კომპანიის ფულად ერთეულში (ლარში), საანგარიშგებო თარიღისათვის არსებული საქართველოს

ფინანსური ანგარიშგება 2021 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის

ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი გაცვლითი სავალუტო კურსის მიხედვით. საკურსო სხვაობით წარმოქმნილი შემოსულობა ან ზარალი აისახება სხვა შემოსავალში ან სხვა ხარჯებში. კომპანიის ვალდებულებები წარმოშობილია ძირითადი საქმიანობიდან და აერთიანებს საქონლის მონოდებიდან და მომსახურებიდან წარმოქმნილ ვალდებულებებს.

დასახელება	2021	2020
საქონლის მონოდებიდან და მომსახურ. წარმოქმნ. ვალდებულება	3114170	2416448
სულ სავაჭრო ვალდებულება	3114170	2416448

12. დამატებული ღირებულების გადასახადი

კომპანიის მიერ გაყიდვების/მომსახურების განვითარების ოპერაციებთან დაკავშირებული დღგ სახელმწიფო ბიუჯეტში გადასახდელია მიწოდებული საქონლის ან გაწეული მომსახურების შესაბამისად, კანონმდებლობით გათვალისწინებულ ვადებში. კომპანიას შეუძლია განახორციელოს დღგ-ს ჩათვლა შესაბამისი ჩასათვლედი თანხების დეკლარირების გზით. საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობით დაშვებულია გადამხდელის მიერ დღგ-ის თანხის გადახდა ე.წ. „წმინდა თანხის“ საფუძველზე (მიღებული დღგ-ს ჩათვლის გათვალისწინებით). შესაბამისად, კომპანიის მიერ განხორციელებული დასაბეგრი ოპერაციების საფუძველზე გადასახდელი დღგ, რომლის გადახდაც არ მომხდარა საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს, ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში აისახება (აღიარდება) ე.წ. „წმინდა თანხის“ საფუძველზე (მიღებული დღგ-ს ჩათვლების გათვალისწინებით).


13. დაქირავებულ პირთა გასამრჯელოები

ხელფასები, გასამრჯელოები, ყოველწლიური ანაზღაურებადი შვებულებები, ბიულეტენები, პრემიები და არაფულადი სარგებლობები კომპანიის მიერ ექვემდებარება დარიცხვას იმავე პერიოდში, რომელშიც კომპანიის თანამშრომლების მიერ შესაბამისი მომსახურება იქნა გაწეული. კომპანიას არ აქვს რაიმე სახის საპენსიო ან მსგავსი პროგრამის (მათ შორის თანამშრომლის სამსახურის შემდგომი სარგებლის სახით) იურიდიული თუ არაკონტრაქტული ვალდებულება.

14. ფულადი სახსრები

კომპანიას საბანკო ანგარიშები გახსნილი აქვს:
ს.ს თიბისი ბანკში, ს.ს. საქართველოს ბანკში

დასახელება	2021	2020
ნაღდი ფული სალაროში	147351	92984
ფულადი სახსრები ბანკის ანგარიშზე	1641	42699
სულ ფულადი სახსრები	148992	135683



15. ფინანსური ანგარიშგებების შესწორება გამოცემის შემდეგ

ნებისმიერი ცვლილების შეტანა ფინანსურ ანგარიშგებაში, მისი გამოცემის შემდეგ, დამტკიცებას ექვემდებარება კომპანიის იმავე მენეჯმენტის მიერ, რომლის მიერაც მოხდა აღნიშნული ფინანსური ანგარიშგებების ავტორიზაცია გამოცემის მიზნით.

გარემოს დაცვის საკითხები. საქართველოში გარემოს დაცვის რეგულაციების შესრულება ძალას იკრებს და სახელმწიფო ორგანოების მიერ გარემოს დაცვის მიდგომები მუდმივად გადაიხედება. კომპანია პერიოდულად აფასებს თავის ვალდებულებებს გარემოს რეგულაციების შესრულების ფარგლებში. ვალდებულების განსაზღვრისთანავე ხდება მათი აღიარებაც. პოტენციური ვალდებულება, რომელიც არსებულ რეგულაციებში ცვლილებებით, სამოქალაქო დავებით ან კანონმდებლობის ცვლილებით არის გამოწვეული, წინასწარ ვერ შეფასდება, თუმცა ასეთი ცვლილებები შეიძლება არსებითი იყოს. არსებულ გარემოში, არსებული კანონმდებლობის პირობებში, მენეჯმენტი დარწმუნებულია, რომ არ არსებობს მნიშვნელოვანი ვალდებულებები გარემოს დაზიანების თვალსაზრისით.

შპს "ტარიელი"-ს დირექტორი

